# ნაკვალევი № 24

მცირე წლოვანთათვის.

ტფილისი

ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ[illegible]

1907



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

I—„ალილოზედ“.—(ლექსი) სოდ. გ—ძისა . . . . . 3

II—ნათლობაში.—გიორგისა . . . . . 7

III—არჩილის და ლევანის პირველი შობის ხე.—მ. დემურიანისა . . . . . 13

IV—ძაღლის მეხსიერება.—(თარგმანი) ედუნე ჭიჭინაძისა . 21

V—ვირის თავგადასავალი. ნ. ეიფეანისა . . . . . 17

VI—შარადა.—ა) ხალხური ლექსი—ბ) გამოცანა—გ) რებუსი . . . . . 23

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ალილოზედ“

ამბობენ ვემზადები,
ჩამოვივლი „ალილოზედ“...
კაცმა უნდა თავდარიგი
და ჭირის თავის დროზედ,

თორემ სადმე უცნაური
ხიფათი რამ დაუხვდება
და ქვეყანას მისი საქმე
დასაცინი გაუხდება.

გეტყვით, შარშან მეც გადამხდა
ამბავი რამ სასაცილო:
საშობაოდ სიარულზედ
შევიბირე ჩვენი ილო;

ჩვენებიანთ ზაქარომა,
სკოლაში რომ დადიოდა,
დამასწავლა შობის ლოცვა
და მეც მეტი არ მინდოდა.

დაისვენა ილამ გულზედ
სატი,—ბებოს სალოცავი,—
ეაბალახი წელზედ აკრავს,
წაკრული აქვს შალით თავი.

თოვლია და ჭეინავს ძალზედ,
მაგრამ ჩვენ-კი მივსრიალებთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დროს ყველა დამავიწყდა,
ვის ასსოვდა შობის ლოცვა?!..
შიშს ბევრი რამ შესძლებია,
თოვლ-ყინულში გორვა-ცოცვა!..

როგორც იყო ბოლოს-ბოლოს
ჩემს ძახილზედ, ილას სმაზედ
გამოცვივდნენ სანახავად
მეზობლები იმ დიდ-გზაზედ,

და რა ნახეს? რაც მოვკრიბეთ
სულ იქ იყო გაფანტული,
ილა ისევ თოვლში იწვა
დაღრეჯილი, გაფართხული.

ააყენეს მაშინადვე,
თოვლ-ყინული გაუბერტყეს,
დააჩუმეს მომტირალი,
ძლივ-ძლივს გული გაუკეთეს.

მერე თბილად შეეუხვიეთ
გათოშილი წითლად ცხვირი;
გავსინჯეთ და ძაღლს იმისთვის
სულ არ ეხლო სამტროდ ჰირი.

მაგრამ ნაცვლად ის ჰარკი-კი,
რაშიაც რომ ჯადი გქონდა
ბროლას თურმე მოეტაცნა,
კვერცხებიც მთლად დაგვმტვრეოდა.

ჩვენ-ტოლებმა ეს რომ ნახეს,
როდი ეეთ საცინლადა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოვედით ამრეზილნი,
შერცხვენილნი ამ რიგადა!..

შინ მოვედით, ზაქარომაც
ჩვენს ამბავზედ გაიცინა...
როცა მოვთბით ცოტა ცეცხლზედ
და ილამაც მოილხინა,

გავიუავით ხილი, რაცა-კი
ბროლამ ჩვენვე დაგვიტოვა...
ამ,სთანა სამარცხვინო
შობა ჩვენთვის აღარ მოვა!..

მაინც წელსაც ვემზადებით,
ჩამოვივლით „ალილოზედ“,
თუ კვლავ ბროლა დაგვისვდება
ჩვენც მჭადს მივცემთ თავის-დროზედ!..

სოლ. გ—ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნათლობა

ეის ჰირში ჰატარა სერია, ჯაგით და ძეძვით მოსილი. ამ სერის ძირში აქვს მელიას თავისი სორო.

ერთხელ დილაადრიანად, ჯერ მზე არცკი ამოსულიეო, რომ დიდი ფაცა-ფუცი და ფუსფუსი შეიქმა სოროს წინ. გამოსულიეკნენ ახალგაზრდა მელიები და კუდებით ჰგვიდნენ სოროს კარ-ძიდამოს სხვებს ფეშტამლები აეფარებინათ და სოროს ალაგებდნენ: ზოგს ჭურჭელი შეჰქონდა, ზოგს ავეჯეულობა...

დიდ მზადებაში იეკნენ. სოროს ჰატრონს ნათლობა ჰქონდა, დიდი საზოგადოება ჰეავდა მიწვეული და ისე თავს როგორ შეირცხვენდა, რომ რიგიანად არ დახვედროდა სტუმრებს!

მერე სულ წარჩინებული და მაღალ-წოდების მელები იეკნენ მოწვეულნი... დიასახლისმა ეველა თავის ნათესავები მოიწვია: დედიდები, მამიდები, ჰაჰიდები, ბებიდები, დისწულები, ძმისწულები, ჰაჰიდაშვილები, მამიდაშვილები, და სხ. და სხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათესავებს გარდა ნაცნობებიც მრავალნი იყვნენ მოწვეულნი: რუხი მგელი, იმ არემარის მამასახლისად წოდებული თავის კუდ-გაქუცულ ტურა-გზირით, ორიოდე კურდღელი და სხვა წვრილფეხა ნადირები.

ძღარბის მოწვევაზედ, რომელიც იქვე მეზობლად ცხოვრობდა, დიდი დავა და კამათი მოუვიდათ მასპინძლებს. ქმარი ამბობდა: მეზობელია, ისიც დავპატიჟოთო. ცოლი-კი დიდ უარზედ იდგა: აბა, რა ჩვენი საკადრისია აბურძგნილი და ეკლიანი ძღარბი. იმისთანა წარჩინებულ სტუმრებს ეკლიანი დავუსვა გვერდითაო!.. მაგრამ მაინც ქმარმა დაიყოლია და ძღარბსაც გაუგზავნეს მოპატიჟე.

ძღარბი ბანტის ქვეშ წამოწოლილიყო და ჩიბუხს ეწოდა, როდესაც დაინახა მასთან მიმავალი მოპატიჟე მელია.

— პატივცემულს ძღარბს ვახლავარ! დიდი მოწიწებით და მელიისებურ ბრძოთნეობით უთხრა მოპატიჟემ.

ძღარბი ფეხზედ წამოდგა და ეჭვის თვალით შეხედა მელიას: —შენ კაი სული არა ხარ; ჩემთან საკეთილოდ არ მოხვიდოდი, ალბად ავი გწადიან რამაო. მაგრამ, როდესაც ბარათი დაინახა, დარწმუნდა, რომ მელია მოპატიჟედ იყო მოსული.

„სანდო არ არის კუდა-გძელა“, ფიქრობდა ძღარბი, მაგრამ მაინც წავალ. მინდა ვნახო, როგორი ლხინი იციან. „გამოართვა ბარათი და უთხრა: —კარგი, გიახლებითთქო, მადლობა მოახსენე.

მელიამ მდაბლად თავი დაუკრა და წავიდა.

წუხელ სწორედ შუა-ღამე იქნებოდა, რომ სოფელში ერთი ალიაქოთი ატეხა. მამლების ყივილმა და ვარიების ჭეიკვილმა იქაურობა აიკლო. ძაღლების ეეფისგან კიდევ კაცს ეურები გამოეჭედებოდა.

სწორედ ამ დროს ჩვენი ნაცნობი ძღარბი სოფლის ბოლოს მისეირნობდა, იქ ერთს ბაღში მწიფე მსხალი ეგულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა. ჩამოცვივნულ მწიფე მსხლათ აბირებდა ბირის ჩაკოკლოზინავებას.

ეს აურ-ზაური ძრიელ გაუკვირდა; არ იცოდა, რაში იყო საქმე.

ამ დროს ერთმა მელიამ ქასქასით გამოირბინა. ძღარბმა ჰკითხა,—„ძმობილო, ეს რა ამბავია?“

— რა ამბავია, და ჩვენს ბატონს, მელეთის, მეფეს ნათლობა აქვს, ცივად დედლები და ჩახოხბილი ვარიები მზადდება სტუმრებისთვის. თუ დღეს არ მივესივენით საქათმეებს როდისღა ვემსახუროთ ბატონს? მელიობას, ვინც დღეს ხელცარიელი ეახლება დიდებულ მასპინძელს!

სთქვა და გაექანა საქათმისკენ. მაგრამ დახე იმის ბედს!.. უცებ მურას წააწყდა და ცოტა სანს შემდეგ, მარტო მელიას ქათიბის ნაგლეჯები-ღა ეყარა იმ ადგილს.

სხვებმა-კი ბევრმა მოიტაცა ქათმები და ძღარბის წინ გამოარბენინეს; საცოდავად ჭეიოდნენ საწყალი ქათმები, მაგრამ ვინ იყო იმათი მშველელი!..

ძღარბს სიბრალულისაგან სრულიად დაეკარგა მადა, ორი მსხალიც ვეღარ შეჭამა, ადგა და გასწია თავის ბუნაგისკენ. მოაგონდა წუსანდელი ამბავი და ეხლა-კი დარწმუნდა, რომ მართლა დიდი წვეულება ჰქონიათ, რომ ის, ძღარბიცა-კი, არ დაივიწყეს და დაჰპატიჟეს.

ჯერ სადილობა არ იყო, რომ სტუმრებმა დენა დაიწყეს. ეველა მხრიდგან და ეველა ბილიკებით მოდიოდნენ მელიები და გრძელ-კუდებით კორიანტელი ააყენეს. ზოგნი ეტლით მოდიოდნენ, ზოგნი ფეხით.

ძღარბი მაღლობზედ იდგა და იქიდგან უცქეროდა. ძლიერ გაუკვირდა, რომ სტუმრებში რამოდენიმე კურდღელიც დაინახა: ნეტა როგორ გაბედეს მანდ მისვლაო? მე ჩემი ეკლების იმედი მაინცა მაქვს და აბა მაგ საწყლებს რის იმედი აქვთო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგელანი სუფრას უსხდნენ, სადილი უკვე გაჩაღებული იყო, როდესაც ჩვენმა ძღარბმა შეაღო კარი.

ტანი აბურძგნილი ჰქონდა და ეკლებზედ აქა-იქ ხმელი ფოთლები ეკიდა, რომლებიც თან აჰყოლოდა თავის საწოლში გორაობის დროს.

იმის დანახვაზედ ზოგს სიცილი წასკდა, ზოგმა წარბი შეიჭმუხნა. ბოლოს მაინც მიიწვიეს და სუფრის ბოლოს დასვეს.

თამადად მგელი ჰყავდათ. ბევრი სადღეგრძელოები დალიეს, მხოლოდ რადგან ნადირები ღვინოს არ ეწყობიან, ამიტომ ღვინის მაგივრად წყალს სვამდნენ.

დიდი მხიარულება, ემუილი, კნავილი და ხავილი გაისმოდა. კურდღლები დოლს უკრავდნენ. მელიები თავიანთ ქათიბებით ლეკურს უვლიდნენ.

— სმენა და გაგონება! დაიძახა მგლის მხლებელმა ტურაგზირმა, ბატონს მგელს ნებავს ჰატარა სიტყვით შეამკოს დიასახლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველანი სმენად გადაიქცნენ.

— ჩვენო გულკეთილო, ჩვენო პატივცემულო დიასახლისო! სთქვა მგელმა: ნება მიბოძე, მოგილოცო ეს ბედნიერება,— ვაჟი-შვილის შემატება. ვიცი, რომ კეთილი და სტუმართ-მოყვარე ბრძანდები. ვიცი, არავითარი შრომა არ დაზოგე, და ასე კარგად გაგვიმასპინძლდი. ამისთანა დედლებისა და ვარიების ხორცი კარგა ხანია აღარ მიჭამია! მართალია, ერთ თქვენს მსახურს უბედურება შემთხვევია, ის გამხდარა მსხვერპლი უსინიდისო ძაღლისა, რომელსაც მისთვის მშვენიერი ქათიბი შემოუხვევია. მაგრამ რა ვუყოთ? სამაგიეროდ მას არ დაივიწყებს სადირთ საზოგადოება. ვისურვებ, რომ შენი ახლად შემატებული შვილიც ისეთივე გულადი გამოვიდეს, რომ არ მოგაკლოთ მუდამ დღე არც ქათმის ჩიხირთმა და არც ჩასოსბილი! დაათავა მგელმა თავისი სიტყვა და ყველამ ტაში დაუკრა. დიასახლისმა მოწიწებით დაუკრა თავი და მადლობა გადაუხადა.

ბევრმა სხვამაც ითხოვა სიტყვა. ყველანი აქებდნენ სახლი პატრონებს კარგსა და უხვს მასპინძლობას.

ძღარბს გულმა ვეღარ მოუთმინა და დაიძახა,—ნება მიბოძეთ მეც მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა! ყველანი გაჩუმდნენ.

ძღარბმა დაიწყო:

— თქვენ, მელები და მგლები ყველანი უსინდისოები და ქურდები ხართ. თქვენ-კი ამით თავი მოგაქვთ და ერთმანეთის ქებაში ხართ... მე ჩემი თვალით ვნახე, როგორ ააწიოკეს წუხელის მელიებმა საცოდავი ქათმები. განა ეს საკადრისია.

ყველანი გაბრაზდნენ. მიესივნენ ძღარბსა, მაგრამ ის უცებ მოიკუმშა და ეკლიან გორგლად გადაიქცა.

ბევრი უჩუნდურეს მელიებმა, ბევრი აგორეს, მაგრამ მაინც ვერაფერი დააკლეს. ბოლოს ამოჭკრეს პანღური და კარედ გამოაგორეს.

დალმართი იყო; დაგორდა ძღარბი და ბირამდის გორვით ჩავიდა. გაჩერდა ვაკეზედ, მიიხედ-მოიხედა, და რომ აღარავინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იეო, წამოდგა, გაიბერტეა ეკლები და გასწია თავის ბინისკენ.

როგორ გათავდა მელიების წვეულება, ამისი ადარა ვიცით რა. მხოლოდ მეორე დღეს, როდესაც ძღარბმა იმ სოროს წინ შემთხვევით გაიარა, კურდღლების ქულაჯების ნაგლეჯები ნახა.

**გიორგი.**

ეოტე, იცი, ხვალ ხომ შობაა? ამ საღამოს ჩვენ შობის ხეს მოგვირთავენ, ეუბნებოდა ლევანი ახლად სოფლიდან ჩამოსულს ბატარა ბიჭსა.

— ბოშო, ნეტა ერთი როდისმე მაჩვენა, ე შობის ხე რაგვარია?

— გეუბნები, აძაღამ ბევრი სტუმრებიც გვეყოლება და ჩახავ კიდეც. დღეს დედა ადრიან წავიდა ბაზარში, რომ შობის-ხეც იყიდოს და მოსართავებიც.

ელენე, არჩილის და ლევანის დედა, ქვრივი იყო, ძლივ-ძლივობით რამდენიმე მანათი გადაარჩინა სადღესასწაულოდ; გადასწყვიტა, რაკი არჩილმა კარგად დაიჭირა ეგზამენები, უსათუოდ რითიმე გავახარებ ჩემს შვილებსაო. მართალია, კოტე ცხრა თუ ათი წლისა იყო, მაგრამ საკვირველი მკვირცხლი, ცქვიტი და ზრდილი. კოტეს არჩილი და ლევანი ძალიან დაუმეგობრდნენ.

დილიდანვე ერთი ნაცნობი ოჯახი სამი ახალ გაზდა ქალით იქ იყვნენ და ელენეს შველოდნენ შობის ხის მორთვას. შობის ხე ბავშვების საწოლ ოთახში დასდგეს, იქაურობა მიალაგ-მოალაგეს. არჩილი, ლევანი და კოტე მოუთმენლად მოელოდნენ ხის დანახვას. რომ დრო ჩქარა გასულიყო. სხვა და სხვა სათამაშოებს იგონებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საღამოსათვის კოტეც ლამაზად მორთეს, არჩილის შარვალი და ხალათი ჩაცვეს, თითქმის ახალი ქამარი შემოაკრეს და ნახმარი, არჩილის ქუდი დაახურეს. ბავშვები სიხარულით შესცქეროდნენ კოტეს და ხან ერთი ძმა ეხვევოდა, ხან მეორე.

— კოტე, კარგად გამოიჭიმე და ისე გაიარ-გამოიარე.—ეხვეწებოდა არჩილი. ისიც თავმაღლა აღებული, გაჭიმული, გულგამოგდებული მიდი-მოდიოდა ოთახში.

— აბა, ჩემო კოტე, რამდენიმე სიტყვა უნდა დაისწავლო კარგად, ხარი რომ ჩამოჰკრან, სასწრაფოდ უნდა გავარდე, კარი გაუღო და სტუმრებს უთხრა: „ჰროშუ ჰაკორნო, ვსე დომა,“—ასწავლიდა არჩილი.

— რავა? რავა სთქვი, არჩილ? აბა, კიდევ გეიმეორე, რომ კარგად დავიხსომო. „ჰრონშუს ჰონკორნო ვესევო დომნა, ჰრონშუს ჰონკორნო ვესევო დომნა, იმეორებდა კოტე. არჩილი და ლევანი-კი გულიანად ხარხარებდნენ.

— აბა, ახლა გიმნასტიკა უნდა გაგაკეთებინო,—უთხრა არჩილმა.

— ფეხები ერთმანეთს მიაკარ, ხელები ჩაუშვი, თავი ხან აიღე, ხან დაიღე! ჰო, ჰო, ეოჩაღ! ძალიან კარგად აკეთებ! ახლა ხელები გამოსწიე და შეკუმშე, ახლა თავი უკან, უკან გადაწიე, შემდეგ წინ, წინ, კიდევ...

— კარგი, ბოშო, გეეოფა, დეგიღალე! ქვე ეველაფერიც ვისტავლე.—ამ დროს უცბად ზარიც ჩამოჰკრეს. კოტე სასწრაფოდ გაექანა კარის გასაღებად. კიბეები ბზინავდნენ, ისე იყო გალიბული, კოტეს გაუსხლტა ფეხი და რახა-რუხით ჩაგორდა ძირს. რის ვაი-ვაგლახით, თვალცრემლიანი, ცოტა შეიშმუშნა, წამოდგა და დაუევირა ეძაწვილებს:

— ბოშო! არჩილ, ლევან! მოდით, რავა უნდა მეთქვა, ქვე დამავიწყდა. ზარს-კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, არაწკუნებდნენ. ორივე ძმები ეზოში იყვნენ და კოტეს გაჭირვება არ ესმოდათ. დერეფანში გამოვარდა გაჯავრებული ელენე და, დაღრეჯილი ბიჭი რომ დაინახა, შეუტია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბიჭო, რას გაქვავებულხარ? ერუ ხომ არა ხარ? ჩქარა გააღე კარები!

— რავქნა, ბატონო, სულ გადამავიწყდა ი... რავარიც უნდა მეთხრობია სტუმრებისათვის.

— ჩქარა გააღე მეთქი, ხომ არ გაგიჟდ.!

— კი, ბატონო! მომაგონდა! სწრაფად ეცა კარებს და გააღო. ელენე გაკვირვებული უცქეროდა.

— „ბრონშუს ბრონკორნო ვესევო დომნა“.

ამ დროს ხარხარით არჩილი და ლევანი შეეგებნენ სტუმრებს.

— აი, თქვე ცელქებო, თქვენა! სულ გააგიჟეთ ე ბიჭი. სრული ოცი წუთია ზარს უკრამენ და ეგ-კი კარებთან დაღრეჯილი რადაცას იგონებს.

სტუმრები ზედი-ზედ მოდიოდნენ; გაიმსო სასტუმრო, მაგრამ ჯერ მაინც არ აღებდნენ საძოლხის კარსა. კოტე აჭრუტული იდგა კარებთან თავის ქუდით და გულის ფანცქალით ელოდა გასაკვირველ ხის ნახვას.

ბოლოს კარი გააღეს და ბავშვებს დაუძახეს, მაგრამ ამ დროს ერთი-ერთმანეთზედ კიდევ ზარის წკარუნი მოისმა, კოტე გადირია, არ იცოდა, საით წასულიყო. ბოლოს ელირსა. შეეარდა პირდაპირ ეძაწვილებთან და გაოცებული გაშეშებულივით გაჩერდა შობის ხის წინ.

— დედა, დედა, რავარი ხეა! აბა, რავა გამიკვირდება, ეს გვარი ხეები ქე ჩვენ სოფელშიც ბევრია; მაგრამ ბაბა, ბაბა, ქე რამდენი სამთლებია, რავარი ჟღარუნები და ინკი-ჩიმ-ბლოები ჭკიდია!—გაიძახოდა გაკვირვებული და ბავშვების სიმღერა და თამაშობა-კი არ ესმოდა. ამ დროს ერთი მხარიდან არჩილი ეცა, მეორედან—ლევანი, ხელი ჩასჭიდეს და წრეში ჩააყენეს. ბავშვები ძღეროდნენ: „გაფურჩქნილო, გლეხის შვილო“ და ფერხულს უვლიდნენ შობის ხეს. კოტეც მხიარულად დასტოდა და პირს აღებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ქალებმა დასთვალეს ბავშვები, ერთ რიგზედ დაა-ყენეს და ყველას შესაფერი საჩუქრები ჩაბარეს.

კოტეს რვეულები, კარანდაში, ახალი ქუდი და ხილით კოლოფი ერგო. ცოტახანს კიდევ იმღერეს, ითამაშეს და სტუ-მრები ნელ-ნელა წავიდნენ.

არჩილი ლევანი და კოტე ერთად იწვნენ. კოტეს რაც რამ ერგო შობის ხიდგან, თავქვეშ დაილაგა. ბავშვები კარგა ხანს მუსაიფობდნენ. ბოლოს კოტემ ამ სიტყვებით დაიძინა:

— არჩილ, ისთე ვისწავლი, ისთე, ბაბუაჩემის მზემ, რომ დიდი კაცი გევიზარდო და მუდამ ასთე ვაბიამოვნო დიდი და პატარა.

მ. დემურიასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძაღლის მეხსიერება

**თარგმანი**

(დასასრული)

ამამ არ მოიწონა ეს რჩევა და ჰასუხად აი რა უთხრა: „შე სულელო, შენ ვინ რას მოგცემს? ბევრი, ბევრი ტანთ ჩაგაცვან და ერთი ათიოდე მანეთი მოგცენ წელიწადში. აქ-კი ერთბაშად ასს მან. მოგვცემენ. სუმრობაა? თუ არადა სადაც მოჯამაგირედ დადგები, დიუკსაც სომ თან არ წაიყვან? რაღა ეთქმოდა ვანოს? საცოდავი ძაღლი ვერ გრძნობდა მოახლოვებულ განშორებას და გაკვირვებული მისჩერებოდა თავის ჰატრონს, როცა ის ტირილით ეხვეოდა და ეალერსებოდა; ვერ გაეგო, რაში იყო საქმე, რა ატირებდა ვანოს.

კვირას დიუკი მიჰგვარეს ქალაქელ მეიდველს. ძაღლი დაამწყვდიეს, რომ ვანოს არ გაძოსდევნებოდა. სამი დღის შემდეგ დიუკის ახალი ჰატრონი შორს სადღაც გადვიდა და დიუკიც თან წაიყვანა, რასაკვირველია. ის იყო და ის, ვანოს აღარაფერი გაუგია თავისი მეგობრისა. გავიდა მას მერმე სამი წელიწადი.

ვანო უკვე ღონიერი ვაჟ-კაცი იყო და ყველაფერში შველოდა მამას. მან კარგად იცოდა მუშაობა და ყველა სიამოვნებით აიყვანდა მოჯამაგირედ, მაგრამ სამოჯამაგიროდ სადღა სცალოდა?

ახალი უბედურება ეწვია, მოუკვდა მამა, მის ადგილზე სხვა დარაჯი დანიშნეს, ასე რომ ვანოს უნდა მოეძებნა რამე სამუშაო, რომ თავისი მოხუცებული დედა ეცხოვრებინა. კარგად იცოდა წერა-კითხვა, მუშაობა ეხერხებოდა, ამიტომ ურჩიეს, ქალაქს წადი, იქ იშოვი კარგ ადგილსო. წავიდა ქალაქს. იქ უთხრეს, ახლად გასწორილ რკინის გზაზედ საჭიროა მუშებიო. მივიდა გზის უფროსთან. მასთან ერთად ოცდაათამდე კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა მუშა იქნებოდა. უფროსის გამოსვლამდე მათ შემოესმათ ძაღლის მხიარული ყეფა და კარებზე ფეხების ფხაჭუნი მახლობელ ოთახიდგან. ძაღლი მთელი თავისი ძალ-ღონით აწყდებოდა კარებს და ცდილობდა, როგორმე გამოსულიყო მუშებთან. ამავე ოთახიდგან მოისმოდა ვიღაცა კაცის ხმა, რომელიც ამშვიდებდა ძაღლს, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა. ბოლოს გამოვიდა უფროსი. კარი გაიღო თუ არა, გამოვარდა უშველებელი დიდი შავი ძაღლი. „ვაი, ვაი, არ დაგვგლიჯოსო!“—გაისმა სალხში. ძაღლი მიექანებოდა ჰირდაჰირ ვანოსაკენ. ვანოს-კი სრულებითაც არ შეშინებია: იმან ყეფაზედვე იცნო თავისი დიუკი. ძაღლი მივარდა ვანოს, მიაბჯინა წინა ფეხები გულში, დაუწყო ლოკვა და ალერსი. თანაც თვალებში შესცქეროდა.

— „მაშ, ეს ძაღლი მე შენგან ვიყიდე?“ ჰკითხა უფროსმა სახე გაბრწყინვებულს ვანოს.

„კარგი ძაღლი კია! დიდხანს ვერ დაგივიწყა, ძლივს შევიჩვიე“. ამ ლაპარაკში მან ცოტათი გაიცნო ვანო, დაინახა, რამდენად შეგნებული იყო სიამოვნებით გაამწესა რკინის გზაზე. ვანომ დედა ჩაიყვანა ქალაქში, რიგიანად ცხოვრობდნენ და ხშირადაც ხედავდნენ თავიანთ ერთგულ დიუკს, რომელიც ყოველ დღე რამდენჯერმე შეირბენდა ხოლმე ვანოს ღარიბ სახლში.

ელენე ჭიჭინაძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვირის თავგადასავალი

## VII

### მედალიონი

ერთმა ცოლ-ქმარმა მიეიდა; თერთმეტი წლის ქალი ჰყავდათ, ძალიან სუსტი და მუდამ მოწყენილი. სოფელში მარტოდ ცხოვრობდა, რადგან ტ·ოლები არა ჰყავდა. მამას იმისთვის არა სცალოდა, დედას საკმაოდ უყვარდა, მაგრამ ის-კი ვერ აეტანა, რომ შვილს სხვაც ჰყვარებოდა ვინმე, თუნდ ჰირუტყვიც ეოფილიეო. ექიმმა რომ უთხრა, გართობა არის მაგისთვის საჭიროვო, იფიქრა, ვირით სეირნობა საკმარისად გაართობსო. ჩემს ჰატარა ჰატრონს ერქვა ჰოლინა. მოწყენილი იეო და ხშირად ავადმეოფობდა; ძალიან ტკბილი, კეთილი და ლამაზი გოგონა იეო. ეოველ დღე შემჯდებოდა ხოლმე და ვასეირნებდი, სადაც-კი ლამაზი მინდვრები და ჭალები მეგულებოდა. ჰირველად მოსამსახურეს გვაეოლებდნენ თან. მაგრამ როცა ნახეს, რა კეთილი და შშვიდი ვიეავი, როგორ ვუფრთხილდებოდი ჩემს ჰატარა ქალბატონს, მარტო გვიშვებდნენ. ჰოლინა კადიშონს მეძახდა და ეს სახელი ბოლომდინ შემრჩა.—წადით შენ და კადიშონი სასეირნოდ,—ეტეოდა ხოლმე მამა,—ამისთანა ვირთან ფიქრი ნურაფრისა გექნება. ადამიანის გონება აქვს და სახლში თითონაც კარგად მოგიეევანს.

ჩვენც მარტონი დავდიოდით. როდესაც ფეხით სიარულით დაიღლებოდა, ჰატარა გორაკს მივუდგებოდი, ან ჰატარა თხრილში ჩავიდოდი, რომ ზურგზე თავისუფლად შემჯდომოდა. შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიუვანდი თხილით დახირგნულ თხილნარში და გავჩერდებოდი, რომ რამდენიც ნებავდა ეკრიბნა. ჩემს ბატარა ბატრონს ძალიან ვუყვარდი; მიყვავებდა, მიალერსებდა. როცა ავდარი იყო და გარეთ ვერ გამოვდიოდით, ჩემს სანახავად თავლაში მოდიოდა. მიზიდავდა ბურს, ბალახს, ჭარხალსა და სტაფილოს ფოთლებს. დიდხანს დარჩებოდა ხოლმე ჩემთან, ძალიან დიდხანს. სულ მელაპარაკებოდა, თუმცა დარწმუნებული იყო, არაფერი ესმისო. მიამბობდა თავის ბატარა დარდებს და ხან და ხან კიდეც ტიროდა.

— ოჰ, ჩემო საბრალო კადიშონ! შენა ხარ ვირი და ჩემი არა გესმის რა. მაგრამ შენ ერთად ერთი მეგობარი ხარ ჩემი, რადგან მარტო შენ შემიძლიან გითხრა, რასაც ვფიქრობ. დედას ვუყვარვარ, მაგრამ შურიანია, —მარტო მე უნდა გიყვარდეო! ჩემს ტოლს ვერავის ვიცნობ და მოწყენილი ვარ.

ბოლინა ტიროდა და მეალერსებოდა. მეც მიყვარდა და მეცოდებოდა საწყალი გოგო. როდესაც ჩემთან იდგა, ვცდილობდი არ გავნძრეულიყავ, რომ როგორმე ფეხი არ მომესვედრებინა.

ერთ დღეს შევხედე, ბოლინა გასარეებული მორბის ჩემკენ.

— კადიშონ, კადიშონ,—შეჰყვირა,—დედამ ერთი მედალიონი მაჩუქა თავისი თმებით. მინდა შენიც შიგ ჩავუმატო, რადგან შენც ჩემი მეგობარი ხარ, შენც მიყვარხარ. აქ მექნება იმათი თმა, ვინც ყველაზე მეტად მიყვარს ქვეყანაზე.

მართლაც, ბოლინამ ამაჭრა ფაფარი, გასხნა თავისი მედალიონი და დედის თმებში ჩაურია.

სისარულით ცას ვეწევოდი, რომ ბოლინას ასე ვუყვარდი. თავი მოქონდა, რომ ჩემი ბალანიც მედალიონში იდო, მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ ვერაფერი შნო ჰქონდა: რუხი ფერისა, გახეშებული, მსხვილი, იმის დედის თმებსაც საძაგელ ელფერსა სდებდა. ბოლინა-კი ვერას ამჩნევდა. ის თავის მედალიონს ხელში ატრიალებდა და შეჰხაროდა. ამ დროს დედა შემოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას დასცქერი მანდ? შეეკითხა ჰოლინას.

— ეს ჩემი მედალიონია, დედა,—უპასუხა ჰოლინამ და მალვა დაუწყო.

დედა.—აქ რად მოგიტანია?

ჰოლინა.—კადიშონს ვახჩვენე.

დედა.—რა სისულელეა! ჰოლინა, კი არ გაგიჟდე, შვილო! რა იცის მაგან?... სად ვირი, სად მედალიონი!

ჰოლინა.—ღმერთმანი, დედა, კარგად იცის; ხელები ამილოკა, როცა... როცა...

დედა.—რაო? რატომ არ გაათავებ, რისთვის აგილოკა ხელები?

ჰოლინა.—(შემკრთალი) სჯობს არ გითხრა, დედა. გამიჯავრდები.

დედა.—(აჩქარებული) რა ამბავია? ვნახოთ, სთქვი! ალბად სისულელე რამ ჩაიდინე?

ჰოლინა.—სისულელე არ არის, დედა, ჰირიქით...

დედა.—როგორ თუ ჰირიქით? ეური მიგდე, ჰოლინა, შენ მე მოთმინებიდან გამოგეყვარ. სთქვი და მორჩი, რა იყო? სადა ხარ თითქმის ერთი საათია?

მართლაც, ჩემი ბალნის დაბინავებას კარგა ხანი მოუნდა: მედალიონის უკან დაკრული ქაღალდი უნდა აეძრო, შუშა ამოეღო, ბალანი ჩაედო და ხელმეორედ ეველაფერი დაეხურა.

ჰოლინა ერთ წამს კიდევ ეოყმობდა. ბოლოს სიტყვა გაეპარა ენა დაბმით:

— კადიშონს ფაფარი მოვსჭერი, რომ...

დედა.—(მოუთმენლად) რომ? აბა გაათავე! რომ რა გექნა?

ჰოლინა. (სულ ჩუმად) რომ მედალიონში ჩამედო.

დედა.—რა მედალიონში?

ჰოლინა.—იმაში, შენ რომ მომეცი.

დედა.—(კიდევ გულმოსული) ჩემი თმებით რომ მოგეცი? მერე ჩემს თმებს რაღა უყავი?

— ისიც შიგ არის; აი ნახე,—უპასუხა საბრალო ჰოლინამ და თან მედალიონი გაუწოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემი თმა და ვირის ბალანი არეული!—შეჰკივირა გაცეცხლებულმა დედამ.—ოჰ, ეს მეტის-მეტია! შენ, ქალბატონო, ღირსი არა ბრძანდები იმ სახუქრისა, რომელიც მე მოგართვი. ვირის ამხანაგი გამხადე! ვირი და მე შენთვის ერთნი ვეოფილვართ!

გამოჰგლიჯა საწყალ ჰოლინას ხელიდან მედალიონი, დაანარცხა მიწაზე, დაჰკრა ფეხი და დაამსხვრია. მერე შვილს ალარცა-კი შეხედა, თავ-ღიდან გავიდა და კარები გაიჯახუნა.

ჰოლინა, დედის ასეთი გულმოსულობით შეწუხებული და გაოცებული, ერთ წამს გაშეშდა. მერე ამოუშვა ტირილი, მომეხვია კისერზე და ჩამელაპარაკა:—კადიშონ, კადიშონ, ხედავ, როგორ მეპეროობიან! არ უნდათ, რომ მიეკარდე. მაგრამ მაინც მეეკარები და მაგათზე მეტადაც, იმიტომ რომ შენ კეთილი ხარ, შენ მე არას დროს არ მიჯავრდები, არაფრით არ მაწყენინებ და სეირნობის დროს ცდილობ გამართო ხოლმე, ეჰ, კადიშონ, რა უბედურობა არის, რომ ჩემი არა გესმისრა! რამდენ რასმე გეტყოდი!

ჰოლინა გაჩუმდა, დაეყრდნო მიწაზე და ჩუმად იწყო ტირილი. მე გულზე მოსხვდა და დამაღონა იმისმა ბწუხარებამ, მაგრამ ვერც ნუგეშის ცემა შემეძლო და ვერც იმის გაგებინება, რომ მესმოდა იმისი დარდები. გული მოსდიოდა, იმის დედაზე, რომ თავის სისულელით, ან შვილის უსაზღვრო სიყვარულით, ჰოლინას ისე აუბედურებდა. რომ შეძლებოდა, გავაგებინებდი, თუ როგორ უკლავდა გულს ჰოლინას, როგორ ულუსტებდა ისედაც სუსტ ჯანს, მაგრამ ლაპარაკი არ ვიცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და ნადვლიანი შევსტქეროდი ჰოლინას ცრემლების ღვრას.

ნახევარ საათის შემდეგ მოახლემ შემოაღო კარი, დაუძახა ჰოლინას და უთხრა:

— ჰოლინა, დედა გიხმობს, ნუ არის კადიშონის თავლაშიო... და ნუღარც თავის დღეში შევაო.

კადიშონი, ჩემი საწყალი კადიშონი! — შეჰკვირა ჰოლინამ. — არ უნდათ, რომ ვნახო ხოლმე!

— დიახ, ჰოლინა, მხოლოდ მაშინ ნახავ, როცა სასეირნოდ წახვალ. დედამა ბრძანა, რომ შენი ადგილი სახლშია, და არა თავლაში.

ჰოლინამ აღარა უთხრა რა, იცოდა, რომ უნდა დამორჩილებოდა. ერთი კიდევ მაკოცა უკანასკნელად, გავიდა და აღარც შემოსულა. მას შემდეგ ჰოლინა უფრო დაღონდა და უფრო ცუდად იყო ხოლმე. ახველებდა. ვხედავდი, რომ ეკითხებოდა და ხდებოდა. ცუდი დარების მიზეზებით სეირნობითაც იშვიათად და ცოტა ხნით ვსეირნობდით. როდესაც სახლის კიბესთან მიმიყვანდნენ, ჰოლინა ხმის გაუცემლად შემჯდებოდა ხოლმე, მაგრამ როგორც კი თვალს მოგვაშორებდენ, ჩამოხტებოდა ძირს, მომიალერსებდა და გულის გასაქარვებლად თავის დარდებს მიამბობდა; ასე ეკონა, არა ესმის რაო, მაგრამ მეკი ეველაფერი მესმოდა. მაშინ შევიტყე, რომ იმისი დედა ჯერაც ძალიან ცუდ გუნებაზე იყო მედალიონის ამბის შემდეგ, რომ ჰოლინა ისეთი მოწყენილი და დაღონებული არსად ეოფილა, როგორც მაშინ ჰოლინას ავადმყოფობა დღითი დღე საშიში ხდებოდა.

ნ. ყიფიანისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### ზ ა რ ა ‡ დ ა

ძაღლს მიუსევენ ერთითა,
ერთიც წისქვილში თქმულია;
ხოლო ორივე—მცენარე,
საჭირო ჭირნახულია.

---

### ხალხური ლექსი

(ჩაწერილი სოფ. რუისში დ. დ-ს მიერ)

შენი ჭირიმე, გუთანო,
მაგ შენი მრუდე ყელისა,
მოვხნავ და წამოვუწვები,
მოუვანა იცი ქერისა.
ორხელამ შემოუთვალა:
„გუთანო, ბური მშიანო!
ბატარა გამოიგზავნე—
გადახდა შეიძლიანო“.

საქართველოს სახელმწიფო
ბიბლიოთეკა
თბილისი

---

### გ ა მ ო ც ა ნ ა

ფესბრუდი და თავკაუჩი, უკან ჩალის კონა აქვს.

---

### რ ე გ უ ს ი





ტფილისის სახელმწიფო
ბიბლიოთეკა

რედაქტორი **მ. ი. დემურია.** გამომც. **თ. პ. ი. თუმანიშვილი**